საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№86 (6312) ხუთშაბათი, 19 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ტონა აბრეშუმის პარკისათვის

გეგმა შესრულდა

წლის პირველი მოსავლის, აბრეშუმის პარკის დამზადება კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. ცაგერისა და ალპანის დამამზადებელ პუნქტებში ხალხმრავლობაა. ვინც ერთგულად გაისარჯა ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმისათვის, შედეგიც კარგი მიიღო.

ლასურიაშის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებს გეგმით სახელმწიფოსათვის 2650 კილოგრამი პარკი უნდა დაემზადებინათ. მათ უკვე შეასრულეს დავალება და მიმღებ პუნქტში მიიტანეს 2700 კილოგრამი.

ორბელის კოლმეურნეობაში ბევრი კარგი და ხელმარჯვე მეაბრეშუმეა, რომელთა დამსახურებაა, რომ კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა დავალება — ალპანის დამამზადებელ პუნქტში აქაურ მეაბრეშუმეთა ანგარიშზე 1266 კილოგრამი პარკია, როცა გეგმა 1137 კილოგრამი იყო.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

13 ივლისს, შესვენების შემდეგ ყრილობამ მიიღო დადგენილება „სკკპ ახალი პროგრამის მომზადების შესახებ“ და შექმნა კომისია ამ ფუძემდებელი პარტიული დოკუმენტის პროექტის შემუშავებისათვის.

სხდომის დასასრულს დელეგატებმა მოისმინეს ხმის დამთვლელი კომისიის ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები, ამასთან დადგინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიცხობრივი შემადგენლობა 412 კაცის ოდენობით და სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა — 165 კაცის ოდენობით.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 13-14 ივლისს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით: მ. ს. გორბაჩოვი, მ. მ. ბუროკიავიჩუსი, გ. გ. გუმბარიძე, ს. ი. გურენკო, ვ. ა. ივაშკო, გ. ი. იანაევი, ი. ა. კარიმოვი, პ. კ. ლუჩინსკი, ა. მ. მასალიევი, კ. მახკამოვი, ვ. მ. მოვსისიანი, ა. ნ. მუთალიბოვი, ნ. ა. ნაზარბაევი, ვ. ა. ნიაზოვი, ი. კ. პოლოზკოვი, ი. ა. პროკოფიევი, ა. პ. რუბიქსი, გ. ვ. სემიონოვა, ე. ა. სილარი, ე. ე. სოკოლოვი, ე. ს. სტროევი, ი. ტ. ფროლოვი, ო. ს. შენინი, ა. ს. ძასოხოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან: ო. დ. ბაკლანოვი, გ. ვ. გიდასპოვი, ა. ნ. გირენკო, გ. ი. იანაევი, ვ. ა. კუპცოვი, ი. ა. მანაენკოვი, გ. ვ. სემიონოვა, ე. ს. სტროევი, ვ. მ. ფალინი, ო. ს. შენინი, ა. ს. ძასოხოვი.

სამდივნოს წევრებად არჩეული არიან: ვ. ვ. ანისკინი, ვ. ა. გაივორონსკი, ი. ი. მელნიკოვი, ა. ი. ტეპლენიჩევი, გ. ტურგუნოვა.

პლენუმმა გაზეთ „პრავდის“ მთავარ რედაქტორად აირჩია ი. ტ. ფროლოვი.

როცა პირუტყვი იალაღზეა

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად საჭირო და აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპების მკვეთრი დაჩქარება. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის გეგმაზომიერი განვითარება, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის განვითარებას ენიჭება, როგორიც მეცხოველეობაა. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს რაიონის ვეტერინარული სამსახურის სპეციალისტებს, რომლებსაც პროფილაქტიკური და სამეურნეო ღონისძიებების გატარებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვანი დარგის ამაღლებაში.

რაიონში უკვე ლიკვიდირებულ იქნა ინფექციურ დაავადებათა კერები. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, როგორც საზოგადოებრივ მეურნეობაში, ასევე საკარმიდამო სექტორში მყოფი პირუტყვის მთლიანი სულადობა დამუშავებულია თურქულზე, ციმბირის წყლულზე, ემკარზე, პასტერელოზზე, პროდუქტიული პირუტყვი გასტიტზე, გამოკვლეულია დიაგნოსტიკურად ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე და სხვა.

დამთავრდა გამოზამთრების სეზონი და რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმის მწყემსებმა თუ მოიჯარეებმა პირუტყვის საიალაღო საძოვარზე გადაყვანა დაიწყეს. ამ დროს პირველ რიგში აუცილებელია საძოვრების მოწესრიგება, მწყემსთა საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობა, მწყემსების სპეცტანსაცმლით, საწვიმარი ლაბადებით უზრუნველყოფა. საჭიროა ასევე მოზარდი პირუტყვისათვის განკუთვნილი ბინების გადახურვა, მოსაწველი ფარდულების გაკეთება იალაღებზეა, მაგრამ მაინც კომბინირებული საკვებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოზარდი და პროდუქტიული პირუტყვი. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს შეუწყობს პროდუქციის უდანაკარგოდ მიღებას, პირუტყვის ზრდა-განვითარებას, ვეტერინარულ-პროფილაქტიკური სამუშაოების ხარისხიან ჩატარებას და მისი ეფექტიანობის გარანტირებას.

პირუტყვის საიალაღო გადარეკვის სწორი ორგანიზაციისა და მომსახურების მიზნით რაიონში არსებული საიალაღო საძოვრები განაწილებულია ვეტუბნებზე რეგიონების მიხედვით. რაიონის საზოგადოებრივ თუ კერძო მეურნეობათა პირუტყვის მნიშვნელოვანმა რაოდენობამ უკვე დაიდო ბინა საზაფხულო საძოვრებზე, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ყოველგვარი ზომები მიიღონ მისასვლელი გზების კეთილმოწყობისათვის, მაგრამ რაიონის რიგ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სამწუხაროდ, ამაზე თავს იკავებენ იმ მოტივით, რომ მათი კუთვნილი პირუტყვი გაცემულია იჯარით მოსახლეობაში, რაც არასწორი პოზიციაა და აუცილებელია ამ საკითხის დროული მოგვარება.

ჩვენი, ვეტსპეციალისტების ვალია მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საზაფხულო იალაღებზე გადარეკილი პირუტყვის პროფილაქტიკურ მკურნალობას და ყოველგვარი საფუძველი მოვამზადოთ იმისა, რომ პროდუქტიულობის ზრდის ეს ხელსაყრელი პერიოდი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

ი. ჩხეტიანი,
რაიონის მთავარი ვეტექიმი.

დამოუკიდებლობის გზა ხსნილია

გ. გ. გუმბარიძე შეხვდა თბილისის პარტიულ აქტივს

16 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ, რომელიც თბილისის პარტიულ აქტივს შეხვდა, შეაფასა სკკპ XXVIII ყრილობის შედეგები და შეკრებილთ გაუზიარა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მუშაობის შთაბეჭდილებანი. აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის დელეგაციამ, უაღრესად რთული სიტუაციის მიუხედავად, შეასრულა ამოცანა, რომელიც მას მონაწილეებს დაუსახა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის პირველმა ეტაპმა. კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე ვითარება გაართულა იმან, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს რადიკალური დემოკრატიზაციის მომხრენი და კონსერვატორთა უმრავლესობა, რომლებსაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი უკან დაებრუნებინათ ქვეყანა, გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადებინათ რადიკალური დემოკრატიული რეფორმების მომხრეების, მათ შორის, პარტიის ხელმძღვანელობის წევრებისათვის.

ყრილობის განწყობილების გარდატეხა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ედუარდ შევარდნაძის, ალექსანდრე იაკოვლევის, ზოგიერთი სხვა დელეგატის გამოსვლებმა, აგრეთვე მიხეილ გორბაჩოვის ღრმაშინაარსიანმა, დიდად ემოციურმა გამოსვლამ, რომლებმაც მტკიცედ განსაზღვრეს თავიანთი პოზიციები ძველ აზროვნებასთან ახალი, პროგრესული აზროვნების ბრძოლაში. არსებითად, გარდაქმნის სასარგებლოდ პარტიის პროგრესული ფრთის არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მეორე მხარეს პრაქტიკულად სათქმელი არაფერი ჰქონდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დამოუკიდებლობის გზა ხსნილია

(დასასრული).

სწორედ ასეთ რთულ სიტუაციაში მოუხდა საქართველოს დელეგაციას დაეცვა თავისი პოზიციები — მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა სრული და ყოველმხრივი დამოუკიდებლობის პოზიცია, ხაზგასმით აღნიშნა გივი გუმბარიძემ. არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ ესოდენ პრინციპულმა თვალსაზრისმა მნიშვნელოვანწილად განამტკიცა რეფორმების მომხრეთა პოზიციები, მაგრამ ამავე დროს გაამძაფრა კონსერვატორთა ისედაც მიკერძოებული დამოკიდებულება საქართველოს, მისი დელეგაციის მიმართ. მაგრამ მთელმა რიგმა დელეგატებმა საკადრისი პასუხი გასცეს ცდებს — მოენათლათ საქართველოს მაღლითით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სეპარატიზმად.

განსაკუთრებით სერიოზული გამწვავდა ვითარება ყრილობაზე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა სტატუსის განსაზღვრის დროს. პარტიის წესდების 22-ე მუხლის პირვანდელმა რედაქციამ, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს კომპარტიამ შესთავაზა ყრილობას, თავდაპირველად დარბაზის იმ ნაწილის მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია, რომელიც ვერა და ვერ შელევია უნიტარიზმს. მათ მიაღწიეს იმას, რომ ხელახალი კენჭისყრის შემდეგ მიიღეს ვარიანტი, რომელიც აქარწყლებდა კომპარტიის სუვერენიტეტს. საქართველოს კომპარტიის დელეგაციას აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინისა და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების კომპარტიათა დელეგაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოუხდა გაეწია დიდი მუშაობა, დაეძაბა მთელი ძალები, მათ შორის გაემართა მრავალი შეხვედრა კომისიის წევრებთან, პარტიის ხელმძღვანელობასთან, სხვა დელეგაციების ხელმძღვანელებთან, რათა ყრილობას დაემტკიცებინა 22-ე მუხლი საქართველოს დელეგაციის მიერ შეთავაზებული რედაქციით.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნა შეხვედრაზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა თავიდანვე სწორ პოლიტიკურ გეზს დაადგა. დღეს კომპარტიების სრული დამოუკიდებლობა უკვე მომხდარი ფაქტია, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ყველა კომუნისტს, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად დაასწრეს მოვლენებს. ახლა ჯერი ჩვენზეა, რათა რესპუბლიკური ყრილობის მეორე ეტაპზე შევიმუშაოთ ბრძნული და აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაეხმარება საქართველოს კომუნისტებს პრინციპულად ახალ საფუძველზე აღორძინონ თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ნდობა და ავტორიტეტი ექნება ხალხში. საქართველოს კომპარტიამ იკისრა მტკიცედ, თანამიმდევრულად, კონსტიტუციურ საფუძველზე გაეტარებინა ხალხის პოლიტიკური ნება სახელმწიფოებრიობის აღსადგენად — და ატარებს კიდეც. საქართველოს კომპარტიას შეუძლია დაამყაროს და უნდა დაამყაროს კიდეც თვისებრივად ახალ, კონფედერაციულ საფუძველზე ურთიერთობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებთან. ეს იქნება თანასწორუფლებიანი, ორმხრივ ხელსაყრელი, პარიტეტული ურთიერთობა. პლენუმზე არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელშიც შედიან რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებიც, ამიერიდან წარმოადგენს სათათბიროს, საკოორდინაციო ორგანოს. პარტიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მოხდა, რომ რესპუბლიკების კომპარტიათა პირველი მდივნები — რაც ასევე შეადგენს კომპარტიის დამოუკიდებლობის რეალიზაციის მექანიზმის დიდმნიშვნელოვან ნაწილს — თავიანთი სტატუსით პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებზე, ცენტრალური ორგანოების სხვა ხელმძღვანელებზე უფრო მაღლა დგანან.

გივი გუმბარიძემ უპასუხა შეხვედრის მონაწილეთა კითხვებს.

შეხვედრას დაესწრნენ ნ. ლეკიშვილი და ნ. საჯაია.

(საქინფორმი).

როგორი მანდა იყოს პარტია

შეიძლება თუ არა რაიკომის გარეშე

ბოლო დროს ხშირად მებადება კითხვა: რა შეიძლება მოხდეს, თუ კომუნისტების ნაწილი აღმოჩნდება პრაქტიკულად პარტიული მუშაობისაგან ჩამოცილებული? როგორი მწარე სიმართლეც არ უნდა იყოს, ჩანს ასეთი პასიური პოზიცია ხელს აძლევდა ზოგიერთ პარტიულ კომიტეტს. დისციპლინისა და ორგანიზებულობის გარეგნული მხარე უზრუნველყოფილი იყო: საწევრო გადასახადებს იხდიდნენ, კრებები ტარდებოდა. მათზე გამოთქმული პრაქტიკული შენიშვნები აკურატულად ჯამდებოდა. კიდევ რა? რაც შეეხება პარტიული პოლიტიკის ფორმირებას, ის ითვლებოდა პროფესიონალთა, განთავისუფლებული პარტიული მუშაკებისა და აპარატის საქმედ.

აქილოთ თუნდაც ასეთი მაგალითი. ჯერ კიდევ გუშინ პარტიული აპარატის მუშაკები უდიდესი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თვით აზრის გამოხატვასაც კი პარტიაში არჩევნების თაობაზე. მაგრამ გამოღვიძებული პარტიული მასების ენერგიამ მრავალი წლების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკის მოძველებული სტრუქტურის უარყოფა.

დღეს პირდაპირ, ფარულ, ალტერნატიულ საფუძველზე არჩევნები ცხოვრების რეალობაა. უნდა ითქვას, რომ ეს ნაბიჯი მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ გადაიდგა. ერთის მხრივ, პარტიული ორგანიზაციების თანამშრომლობამ ისეთი ინტენსიური ხასიათი შეიძინა, როგორიც ჩვენს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას წარსულში არ ახსოვდა, მეორეს მხრივ ჩვენ დავინახეთ იგივე პასიურობა, დაახლოებით კომუნისტთა მესამედი არ მოვიდა საარჩევნო უბნებში. პარტიის XXVIII ყრილობისა და ქალაქის პარტკონფერენციის დელეგატობის კანდიდატთა ნაწილმა, ძველ დამსახურებებსა და მარავზე დაიმედებულმა, არჩევნებისათვის არ მოამზადეს თავიანთი შემდგომი მოღვაწეობის კონკრეტული პროგრამები, სხვებმა არც კი ჩაატარეს შეხვედრები პარტორგანიზაციებში, რომელთა მხარდაჭერასაც იმედოვნებდნენ.

ვერ შევძელით კომუნისტებისათვის წინასაარჩევნო 1-თვიანი კამპანია მოგვეწყო მაღალ პოლიტიკურ დონეზე და ორგანიზებულად.

მაღელვებს პარტიის რაიონული რგოლის როლი. ვფიქრობ, ნაბიჯები, რომლებიც წამოიწყო ზოგიერთმა საოლქო და სამხარეო პარტორგანიზაციამ რაიონული რგოლების ლიკვიდაციით, მოსკოვის პირობებში მიუღებელია. ჩვენი რაიონული პარტორგანიზაცია — ეს სამასი პირველადი ორგანიზაციაა, რომლაც ათასზე მეტი წევრით და წარმომადგენლადაც კი ძნელია ასეთი ძალა ხელმძღვანელი. სწორედ ხელმძღვანელი და არა მაკოორდინებელი, როგორც ამას ზოგიერთი გვთავაზობს. ცენტრის გარეშე, როგორიც არის ამ შემთხვევაში რაიკომი, პარტიის რაიონული კომიტეტი პირველ რიგში გამოდის როგორც დამაკავშირებელი რგოლი საწარმოო და ტერიტორიული სტრუქტურების ჯაჭვში, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან გადახლართული. ამ ღრმა ინტეგრაციის შეუფასებლობამ, რაიკომების მოღვაწეობით დაგროვილი გამოცდილების უგულებელყოფამ ახალ პირობებში შეიძლება მოგვიტანოს, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასასურველი შედეგები. ეს საკითხის ერთი მხარეა, მეორე — მისი აპარატის კადრების შემადგენლობის ფორმირება. დარწმუნებული ვარ, რომ მუშაკთა შერჩევის კრიტერიუმი უნდა იყოს ისეთივე, როგორიც არჩევითი ორგანოს წევრთა მიმართ.

პრობლემის არსს ვხედავ იმაში, რომ რაიკომის მუშაკები, როგორც არჩევითი, ისე არაარჩევითი, ბოლოსდა ბოლოს გამოვიდნენ კაბინეტური მყუდროებიდან, უფრო ხშირად შევიდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ყურადღებით უსმენდნენ ხალხს და ეძებდნენ ურთიერთგაგებას. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენ ყველას გვჭირდება ავაღორძინოთ ნამდვილი ნდობა პარტიასა და ხალხს შორის, დავიცვათ დაქმნის იდეების შემოქმედებითი არსი.

ნ. კისლოვა,
სკკპ სვერდლოვსკის რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის XXVIII ყრილობის დელეგატი.
ქ. მოსკოვი.
ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“.

ავაღორძინოთ ქართული მეაბრეშუმეობა

სოფელი თავისი საფიქრალით იღვიძებს ყოველცისმარე. ახლა, რომ იტყვიან, თავის მოფხანა არ სცალია გულით მშრომელს. ბოსტანია თუ ვენახი, ყანა თუ აბრეშუმი, ყველაფერს მარჯვენა და გული სჭირდება.

180 კილოგრამი — სათქმელად ძოლია

ჩიტს ასწრებს ადგომას დოდო მეშველიანი, ოჯახის დედა და დიასახლისი. მისთვის შრომაა ბედნიერება და სიხარული, სხვანაირად ვერ მოისვენებს, არ შეუძლია.

ამას წინათ შევუქეთ მარჯვენა, მაშინ აბრეშუმის ჭიის მოვლით იყო დაკავებული. ბევრი რამ უკან მოვიტოვეთ, დაველოდეთ, გვეიმედებოდა და იმიტომ.

ამ დღეებში სათაო პარკსაშრობიდან შეგვატყობინეს, ლასხანელმა დოდო მეშველიანმა 180 კილოგრამი პარკი ჩაგვაბარაო.

სათქმელად ადვილია. ფოთოლზე ეზოს იქით წასვლაც რომ არ დაგჭირდეს, მოჭრილ-დასხეპილი რომ მოგიტანონ, წარმოვიდგინოთ მისი მთელი დღე-ღამე კრეფა, მერე ჭიის დაპურება 4-5-ჯერ დღეში, აქით საძირის გამოცვლა, საჭირო ტენი თუ ჰაერაცია, სითბო თუ სისუფთავე. ვისაც 2 გრამი აბრეშუმის ჭიაც კი დაუსვამს, დაგვერწმუნება სხვა უფრო შრომატევადი და ფაქიზი სამუშაო არც არსებობს.

მაგრამ დოდო თავის შრომას რას დაეძებდა, ოღონდაც გამიმართლოს. რამე დაავადება არ შემომეპაროს, ამდენი შრომა წყალში არ ჩამეყაროსო.

ცახები რომ თეთრად აქათქათდა, მაშინ კი ამოისუნთქა შვებით. მაინც რა საოცარი არსებაა ეს აბრეშუმის ჭია. შეყვარებაც იცის ამ დამღლელმა შრომამ. რომანტიკაცაა ამ საქმეში. ერთხელვე თუ შეეჩვიე — მერე მიგიზიდავს. ეს ერთი მხარე და მეორე და მთავარი ის არის, ქართული აბრეშუმის დიდებისა და სახელისათვის რომ თითოეული ქართველი ქალი იბრძოდეს, ამაში, რა თქმა უნდა, რაა საკვირველი, პირიქით ჩვენი ქართველური, პატრიოტული მოვალეობაა, ღირსების საქმეა.

ჰოდა, ალალი იყოს ეს ორიოდე საქებარი სიტყვა დოდო მეშველიანზე.

ალტაის მხარე. მანამდე თევზით განთქმული რუსეთის ათობით მდინარე ემსხვერპლა ხე-ტყის დაცურებას. ჩაძირული ხე ლპობის პროდუქტებით აბინძურებს მდინარეს და ყველაფერი ცოცხალი კვდება. მაგრამ ის მაინც ვიცოდეთ სად მიდის დაცურებული ხე-ტყე. რუსეთი, რომელიც იძლევა ქვეყნის მერქნის მარაგის 90 პროცენტს, განიცდის მის ნაკლებობას. სამშენებლო მასალების უკმარისობაა სოფლებისა და დაბების დაცლის ერთ-ერთი მიზეზი.

სურათზე: ბახტა ალტაის რუკიდან უკვე გამქრალი სოფელია.

ვ. სალჩიკოვის ფოტო.
საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა — დამკვრელური უბანი!

*

ცხენისწყალი ემორჩილება კაცის ნებას

მდინარე ცხენისწყლის კალაპოტის მოუწესრიგებლობის გამო მის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე წყალდიდობის დროს ნადგურდება ასეულობით ჰექტარი სავარგული, დღეისათვის დაუცველია 550 ჰექტარი, გამოუყენებელი—162 ჰექტარი.

ისეთ მცირემიწიან რაიონში, როგორიც ცაგერია, 712 ჰექტარი მიწის მშრომელთა სამსახურში ჩაყენება, ისიც მთლიანად დაბლობში, სადაც შესაძლებელი იქნება მექანიზაციის გამოყენება, ურიგო არ არის და სწორედ ამ მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგება იდო საფუძვლად 1982 წელს მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრის მშენებლობის დაწყებას.

მკითხველისათვის ჩვენი გაზეთის საშუალებით ცნობილია ნაპირსამაგრის მშენებლობის ბედი, რომ იგი კუს ნაბიჯით მიმდინარეობდა, ხარისხიც ცუდი იყო. სამუშაო ნაცვლად 3 წლისა ჭიანურდებოდა 10-11 წელიწადს. სამუშაოებისთვის არ იყო მობილიზებული მძლავრი მექანიზმები, საკმაო მუშახელი. მდგომარეობა კი თანდათან რთულდება, ცხენისწყალს მეტი რაოდენობით ჩამოაქვს ნაშალი მასა, ამაღლებს კალაპოტს და ბევრი ახალი სავარგული წალეკა.

1989 წლის აგვისტოში შეიქმნა ტრესტ კოლხიდმშენის №1 მოძრავი მექანიზებული კოლონის ცაგერის სამშენებლო უბანი. უბანი ძირითადად დაკომპლექტდა ადგილობრივი სპეციალისტებით (უფროსი გენადი სილაგაძე, სამუშაოთა მწარმოებელი რეზო ჩაკვეტაძე), ისინი მონდომებით შეუდგნენ საქმეს, მთლიანად შეასრულეს 1989 წლის სამუშაოთა გეგმები.

დამკვეთმა „საქაგრომრეწვმა" გაითვალისწინა მშენებელთა მოთხოვნა და გაზარდა შესრულებულ სამუშაოთა წლიური მოცულობა. თუ წინა წლებში იგეგმებოდა 200-250 ათასი მანეთის სამუშაო, წელს დაიგეგმა 500 ათასი მანეთის, რამაც საშუალება მისცა უბანს გამოეყენებინა მძლავრი ტექნიკა. ამჟამად ნაპირსამაგრის სამუშაოებს ემსახურება იაპონური ბულდოზერი „კამაცო", შეიძინეს „კამაზის" მარკის ავტოთვითმცლელი, კამაზის მარკის ბეტონამრევი. ააშენეს ბეტონის ქარხანა, რომელიც უახლოეს მომავალში გაშვებულ იქნება ექსპლოატაციაში.

არის პირველი შედეგები. წელს დაგეგმილი 500 ათასი მანეთიდან მიუხედავად ცემენტით მომარაგებაში არსებული შეფერხებებისა, 6 თვეში შეასრულეს 250 ათასი მანეთის სამუშაო. ამ მოცულობის სამუშაო წინა პერიოდში ორ-სამ წელიწადს არ სრულდებოდა. შესრულებული სამუშაოს ხარისხიც კარგია.

უბანს თანდათან ექმნება პირობები სამუშაოს ფართო ფრონტით გაშლის, მძლავრი მექანიზმების მოზიდვის, მუშახელის მეტი რაოდენობით დასაქმებისა. ბეტონის ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვება დიდად შეუწყობს ხელს სამუშაოს დაჩქარებას, მისი ხარისხის ამაღლებას.

პირველი რიგის სამუშაოები უნდა შესრულდეს საგუბრის ნაგებობიდან ლასურიაშის ხიდამდე (რომელიც დაპროექტებულია), მეორე რიგის (რომლის პროექტირება მალე დამთავრდება) — ლასურიაშის ხიდიდან ლარჩვალამდე.

პირველი რიგის სამუშაოებით დაცული იქნება 120 ჰექტარი სავარგული, ხოლო მეორე რიგის სამუშაოებით—429, სულ დაცული იქნება 550 ჰექტარი. ცხენისწყლის კალაპოტის შევიწროებით გამოთავისუფლდება საგუბრიდან ლასურიაშის ხიდამდე 51, ხოლო ლასურიაშის ხიდიდან ლარჩვალამდე 111 ჰექტარი. სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეემატება 162 ჰექტარი სავარგული.

როგორც აღვნიშნეთ, უბანმა კარგად დაიწყო მუშაობა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ მექანიზატორებს „კამაცოს" მძღოლს სოზარ კოპალიანს, ექსკავატორის მემანქანეებს ვალოდია ისაკოვიჩს, ... კუპუხიძეს, „კამაზის" მძღოლს ამირან ასათიანს, ... გივი ჩარკვიანს, მურმან ჭიჭინაძეს, სოსო მეშველიანს და სხვებს.

უბნის ხელმძღვანელობასთან საუბარში გამოიკვეთა, რომ საჭიროა დამკვეთმა „საქაგრომრეწვმა", კიდევ გაზარდოს სამუშაოთა მოცულობის წლიური დაგეგმვა, ამასთან ქუთაისის მშენებარე ობიექტების ზონალურმა დირექციამ (დირექტორი ა. ხანანაშვილი), რომელსაც თანხებს ურიცხავს დამკვეთი „საქაგრომრეწვი", დროულად დააფინანსოს მშენებარე უბანი.

არის იმის იმედები, რომ „კოლხიდმშენის" №1 მოძრავი მექანიზებული კოლონის ცაგერის სამშენებლო უბანი აქტიური შრომითა და დახმარებით შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხიანად შეასრულებს მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრის სამუშაოებს.

ვლ. დავითულიანი.

შევისწავლოთ მხარის ტოპონიმები

საქართველოში ბოლო წლებში ფართოდ გაიშალა მუშაობა ტოპონიმიკის შეგროვება-შესწავლისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიამ, რომელიც ამ მუშაობას ხელმძღვანელობს, უამრავ მასალას მოუყარა თავი და უკვე დაიწყო ქართული ტოპონიმიკის მრავალტომეული გამოცემა. გამოვიდა 1 ტომი. ლეჩხუმის მასალები მე-15 ტომში შევა.

ტოპონიმიკა უამრავ მასალას იძლევა ხალხის უძველესი ყოფის, საქმიანობის, სოციალური მდგომარეობის, სახალხო მეურნეობის და სხვათა შესახებ, დღეს ამ მასალების გარეშე ქართული ისტორიული მეცნიერება ვერ განვითარდება.

ძველ ტოპონიმთა დიდი ნაწილი დაიკარგა, წერილობითმა ძეგლებმა ზეპირსიტყვაობა არ შემოგვინახა, ბევრმაც სახეშეცვლილმა მოაღწია ჩვენამდე. მისი მნიშვნელობის გაგება ჭირს, ზოგჯერ შეუძლებელიცაა. ამ საქმეებში ლეგენდებსა და ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობა ნაკლებსაიმედო წყაროა.

ცაგერის რაიონში ხანგრძლივი დროის მანძილზე შევაგროვე 4500-მდე მიკრო და მაკროტოპონიმი. ახლა ვცდილობ ყველა შინაარსდაკარგულ ტოპონიმს მოვუძებნო რეალური ახსნა. ასე, მაგალითად, საბას უკვდავი წიგნი „სიტყვის კონა" უამრავ უტყუარ მასალას იძლევა ცალკეული ტოპონიმის გარკვევისათვის, მათ შორის ბევრია ლეჩხუმის ტოპონიმების ახსნა-განმარტებისათვის საჭირო მასალები.

გვესო ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რასაც მის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ციხე-ეკლესიებიც ადასტურებენ. ყველა მკითხველისათვის კარგად ცნობილია ცაგერის დასავლეთით მაღალ გორაზე გვესოს ციხე და მისი მიდამოები.

აქ მდებარე ციხე-კოშკი არცთუ ძალიან ძველია. ჩვენი დაკვირვებით იგი შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდში სამთავროთა შორის შინა ომის ფართოდ გაშლის დროს უნდა იყოს აშენებული (დაახლოებით მე-15-16 საუკუნეებში).

მაგრამ ამ სოფლის ყველაზე ხნიერი, ჩვენამდე ფუძე-ბალავრით შემორჩენილი ძეგლია ეკლესია, რომელიც იქვე ციხესთან მდებარეობს, და ბოლო დრომდე სამნავიან ეკლესიად

საბა ასე განმარტავს

მიგვაჩნდა. აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი სამეკლესიანი სალოცავი ნაგებობა. ასეთ სალოცავებს საქართველოში მე-7-მე-8 საუკუნეებამდე, ე. ი. არაბთა მძიმე ბატონობის დამყარებამდე, აშენებდნენ.

აი, რას წერს ამის შესახებ ცნობილი მკვლევარი ნ. აბდუშელიშვილი: „გვესოს ეკლესია ეს მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ტიპი, სამეკლესიანი ბაზილიკა; რომლის ინტერიერში ყოველი ნავი ყრუ კედლით არის გამოყოფილი და თითოეული დამოუკიდებელი ეკლესიის სახეს ატარებს. ნაგებობის ამგვარი გადაწყვეტა გამოწვეული იყო დიდ მანძილზე რამდენიმე წირვის გადახდის საჭიროებით, რაც ცალკე საკურთხეველს ითხოვდა".

მაშასადამე, უძველეს დროში ეს დიდი სალოცავი ყოფილა, სადაც უამრავი ხალხი მიდიოდა და გასაკვირი არ არის, რომ ცაგერის ეპისკოპოსი აქ მჯდარიყო.

ხალხური ეტიმოლოგიით გვესო აგებულია როგორც შესობასთან დაკავშირებული სახელწოდება (გვესო ქვიანი ადგილია, გვესო ეკალ ბალახი, ასეთი ბალახიც ბევრია მის ტერიტორიაზე). სწორედ ასეთ ახსნაზე აღნიშნავს პროფ. ა. ღლონტი, რომ ხშირად ტოპონიმის სახელი მატყუარაა, მცდარი ახსნისაკენ გვიბიძგებსო.

საბას ლექსიკონში გვაქვს „გვედო"—რომელიც განმარტებულია, როგორც საჯდომი კუნძი. ეს იგივე საჯდომ ადგილს ნიშნავს, ხოლო დროთა მსვლელობაში „გვედო" გამოთქმის გაიოლებისათვის იქცა გვესოდ, დაკარგა თავისი პირვანდელი და ნამდვილი მნიშვნელობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზემოთაღნიშნულის გამო შესაძლებელია თაკვერ-ლეჩხუმის ეპისკოპოსი გვესოს სამეკლესიან ბაზილიკასთან ცხოვრობდა და იქვე მოღვაწეობდა, ადგილს ეწოდა გვედო, რომელიც შემდეგ გავრცელდა იქვე მდებარე სოფელზეც, ასეთი შემთხვევები ხშირად არის ქართული ტოპონიმების წარმოშობის მიზეზი.

ისიც ცნობილია, რომ ცაგერის საეპისკოპოსო უძველესი დროიდან არსებობდა (არაპირდაპირი ცნობებით), ხოლო წერილობით წყაროებში იგი პირველად გვხვდება მე-13 საუკუნეში. ცაიშის საეპისკოპოსოსთან ერთად მაშინ მთელი დასავლეთ საქართველოს მთიანეთი ამ ორ ცენტრს ემორჩილებოდა. მაშინ ცაგერი გორა დასახლება ყოფილა. მოსახლეობა კი გვესოს ციხის სამხრეთ ფერდობზე იყო განლაგებული, რასაც ქვემოთ

(დასასრული მე-4 გვერდზე).

საქართველოში

გსურთ ეკოლოგი გახდეთ?

ინჟინერ-ქიმიკოსი—ეკოლოგი—ასეთ სპეციალობას მიიღებენ აბიტურიენტები, რომელთაც გაუმართლებს ბედი და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გახდებიან. წელს პირველად იქნება მიღება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში კადრების მოსამზადებლად. და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის.

—ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამზადებენ ასეთ სპეციალისტებს,— უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა ვიქტორ ერისთავმა.— ახლახან ვიყავი ინგლისში. ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ლონდონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, გავეცანი სამრეწველო ეკოლოგიის დარგში მიმდინარე მუშაობას.

წელს ახალ სპეციალობაზე მიიღებენ ოც კაცამდე. სწავლების ვადა ხუთი წელია. კურსდამთავრებულები განაწილდებიან არა მარტო წარმოებაში, არამედ საპროექტო ორგანიზაციებშიც, რათა დააპროექტონ და გაიანგარიშონ საწმენდი ნაგებობები და მათი გონივრული ექსპლოატაცია. შემდგომში განხილული იქნება ორსაფეხურიანი სწავლების შემოღების საკითხი. მაშინ გამოსაშვებ კურსამდე უფრო წიგნიერი და მომზადებული სტუდენტები მივლენ.

ქიმიური ანალიზატორი

ბოსტნეულსა და ხილში ნიტრატების შემცველობის განსაზღვრა ახლა ქვეყნის ყველა მოსწავლეს შეუძლია. გაკვეთილებზე ამ ჩვევის შეძენაში მას დაეხმარება მარტივი კომპაქტური ხელსაწყო, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შეიმუშავეს ჩვენს რესპუბლიკაში. მისი პირველი სერიული ნიმუში დამზადებულია თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" საცდელ ქარხანაში.

პეაშმეტრი, ასე ეწოდება ამ ხელსაწყოს, თავისი ზომითა და ფორმით ჩვეულებრივი ტელეფონის აპარატს ჰგავს, ხოლო მის საანგარიშო ტაბლოს ჩვეულებრივი ელექტრონული საათის ტაბლოსაგან ვერ გაარჩევ. თვით ასეთი „წვრილმანებიც" კი, მიაჩნიათ სიახლის შემქმნელებს, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სასკოლო მოწყობილობისა და ტექნიკურ საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებს, ნაკლებად როდი შეუწყობენ ხელს მოსწავლეებს სწრაფად შეიძინონ თანამედროვე ტექნიკური აპარატურით მუშაობის ჩვევები, რომელთანაც მათ საქმე ექნებათ წარმოებაში, უმაღლეს სასწავლებელთა კედლებში.

საკვლევი გარემოს მჟავიანობის პირველი ანალიზატორები, რომელთა შესაძლებლობებს უფრო აფართოებს თანდართული ელექტროდების კომპლექტი, უკვე გამზადებულია გასაგზავნად თბილისისა და მოსკოვის სახალხო განათლების განყოფილებათა განკარგულებაში.

საბა ასე განმარტავს

(დასასრული)

პატარა ნაციხარი - ადგილებიც გვიდასტურებს. მაგ. რ. შ. საღინაძის ეზოში ნაციხარი ადგილია, რაც შეეხება ძველ საავადმყოფოს და წყაროს წულის მრდამოებს. ამ საუკუნის დასაწყისში დასახლებული.

რაც შეეხება ცაგერის საყდარს და სასაფლაოს, გვესოს ბაზილიკაზე ბევრად გვიან არის დაარსებული.

მეორე სიტყვა, რომელიც საბასთან გვხვდება, განმარტავს სოფ. ზარაგულის სახელის არსის მომდინარეობას. „შარაგული"... ანუ სუფთად დაწნული ღობე". იქვეა ჩამოთვლილი რა ნასალით იღობება, მაგალითად წკნელი, ლერწამი, ჩალა და სხვა.

ძველად ღობე იყო კარმიდამოს და ყანის დაცვის საშუალება—ამიტომ მის არქიტექტურასაც აქცევდნენ ყურადღებას. იყო ჩვეულებრივი გორგლიანი, დარაგული და სხვა ღობეთა სახეობა. „შარაგული" გამოიქმის გაიოლების გამო დროთა განმავლობაში იქცა ზარაგულად და მცხოვრებლებმა დავიწყეს მისი პირველი მნიშვნელობა. ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს—ლეგენდის მიხედვით ზარაგულელი კოპალიანები გურიიდან მოსული კოპალაძეები უნდა იყვნენ, რომლებმაც ეს გვარი კოპალიანად აქციეს. ასე ხდებოდა, რათა დამალოდა სისხლის აღებას ან თავის ბატონს ან სხვა მიზეზით.

თუ ეს სიტყვა გურულ კილოში გვხვდება, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ლეგენდა სინამდვილეა.

საბასეულ წიგნში გვხვდება ტოპონიმიკის ასახსნელად საჭირო სხვა განმარტებანიც. ახლა საქართველოში ყოველწლიურად 1000-ზე მეტი წიგნი გამოდის, მაგრამ საბას ლექსიკონივით უკვდავი წიგნი თითქმის არ მოიძებნება.

ჯ. საღინაძე.

კომპიუტერული ... ბედნიერება

თუ თქვენ მარტოხელა ბრძანდებით, არა გყავთ ოჯახი, მეგობრები, მიმართეთ საქართველოს ქორწინების სააგენტოს. სხვათა შორის, მისი დახმარებით შეგიძლიათ შეიძინოთ საქმიანი პარტნიორი და კომპანიონი საშოგზაუროდ.

საქართველოს ქორწინების სააგენტო შეიქმნა ბავშვთა რესპუბლიკური ფონდის კოოპერატივ „ოჯახთან". მასში თანამშრომლობენ ფსიქოლოგები, დემოგრაფები, სოციოლოგები, იურისტები, ექიმები, პროგრამისტები, სხვა სპეციალისტები.

—მარტოხელა ადამიანების პრობლემა რესპუბლიკაში მეტად მწვავედ დგას,—უთხრა საქინფორმის კორესპოდენტს სააგენტოს მეცნიერ - კონსულტანტების ჯგუფის ხელმძღვანელმა, მეცნიერმა დემოგრაფმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბადრი კოტრიკაძემ.—საქართველოში ამჟამად 25-დან 50 წლამდე 300 ათასზე მეტი კაცია, რომელთაც არა აქვთ ოჯახები. რესპუბლიკაში მთელ საბჭოთა კავშირთან შედარებით ყველაზე მაღალი პროცენტია გაუთხოვარი ქალებისა. ჩვენი მიზანია მეცნიერულ გამოცდილებაზე, პრაქტიკასა და სსრ კავშირის და საზღვარგარეთის ანალოგიურ დაწესებულებებთან კონტაქტებზე, კომპიუტერის შესაძლებლობებზე დაყრდნობით დავეხმაროთ ადამიანებს ოჯახების შექმნაში.

„რა ღირს" ოჯახისა და მეგობრების შეძენა? შესასვლელი გადასახადია 20 მანეთი, აგრეთვე შეიმრება, ინვალიდებიობენები, ... ომ. მონაწილეები, შესაბამისი - დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში - უფასოდ სარგებლობენ მომსახურებით. სხვათა შორის, განცხადება კატალოგისათვის ასევე უფასოდ მიიღება. თუ ვინმეს დაინტერესებს ინფორმაცია საქართველოს ქორწინების სააგენტოს მუშაობის შესახებ, ღამატებითი შეკითხვები დაეგზავნება, ველით წერილებს შემდეგ მისამართზე: 380004, თბილისი—4, საბჭონენტო ყუთი 114.

სხვადასხვა

სისხლის ჯგუფს ხუთ წუთში საზღვრავენ

ნაცვლად ჩვეულებრივი ორი საათისა სულ ხუთ წუთში ადგენენ პაციენტის სისხლის ჯგუფს ახალი ტექნოლოგიით, რომელიც შეიმუშავეს იაპონიის გუმის პრეფექტურის უნივერსიტეტისა და პრეფექტურის პოლიციის სამმართველოს სასამართლო -სამედიცინო ექსპერტიზის სპეციალისტებმა, ამასთან მედიკოსებს თვითონ სისხლი არ სჭირდებათ. ანალიზისათვის სუმარისია მხოლოდ ერთი წვეთი ნერწყვი, ოფლი ან შარდი. სისხლის ჯგუფის დასადგენად ექიმები იყენებენ ადამიანის ორგანიზმიდან სისხლის ანტისხეულებისა და აკრილ-პოლიმერების გამოყოფის ურთიერთმოქმედების რეაქციას.

ქალაქ სუონსში 113 წლისა მშვიდად გარდაიცვალა მსოფლიოში უხუცესი მამაკაცი ჯონ ევანსი.

ევანსი დაიბადა 1877 წლის 19 აგვისტოს. 22 წლიდან მუშაობდა მეშახტედ. 108 წლისას გაუკეთეს გულის ოპერაცია, რომლის დროსაც ჩაუდგეს ხელოვნური სარქველი. თავისი ასმეათე დაბადების დღე ამ

დღეგრძელობის მიზეზი?

დღეგრძელმა აღნიშნა იმით, რომ პირველად ესტუმრა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს—ლონდონს, თუმცა იქამდე ჩქაროსნული გზატკეცილით ავტომობილს სულ სამი საათი სჭირდება.

მაღლიბა სისუფთაკისათვის

ლონდონი. ორიგინალური სანაგვე ყუთები დადგეს უელსის საგრაფოს ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრ გუენტში. საკმარისია მათში ჩაუშვა ნახმარი პაკეტი, გაზეთი ან ნაგავი, რომ ყუთიდან ხმამაღლა გამოგეპასუხებიან: „გმადლობთ, რომ ქუჩას არ ანაგვიანებთ". სანაგვე ყუთები აღჭურვილია მიკროპროცესორით, რომელიც მეთვალყურეობს, რომ მადლობის სიტყვების ჩანაწერი ისმოდეს ყუთის სახურავის ყოველ ახდაზე, მის. კვების წყაროდ გამოყენებულია მზის ბატარეები.

(საკდესი)

პოლონეთი. 1500 ტონა მარცვლის გაშრობა-შენახვისათვის გათვალისწინებულ ამ საცავში მზის ენერგიაა გამოყენებული. ასეთი ხერხი არა მარტო ეფექტური და იაფია, ეკოლოგიურადაც სუფთაა, საჰაერო გვირაბით საცავში შემოსული გახურებული ჰაერი აშრობს მარცვლის 3,5 მეტრიან ფენას და ამცირებს მის ტენიანობას 30 პროცენტამდე.

სურათზე: საჰაერო გვირაბი სექტორი, საიდანაც საცავში შედის გახურებული ჰაერი.

საკდეს-ცაფის ფოტოქრონიკა

თქვენთვის, დიასახლისებო

კულიჩი

თბილ წყალში გახსენით საფუარი და ნახევარი კილოგრამი ფქვილი. საათნახევრის შემდეგ ჩაუმატეთ დარჩენილი ფქვილი, შაქრის ფხვნილი, კარაქი, კვერცხი, მარილი, ქიშმიში, ვანილი, ლიმონის ესენცია, მოზილეთ ცომი, შეფუთეთ და გაიჩერეთ თბილ ადგილას, ამოსული ცომი გადაიტანეთ ყალიბებში და შედგით აერღუმელში გამოსაცხობად.

მასალად საჭიროა: კილოგრამი და 250 გრამი ფქვილი, 280 გრამი კარაქი, 380 გრამი შაქარი, 3-4 ცალი კვერცხი, 4 გრამი მარილი, 200 გრამი ქიშმიში, 50 გრამი საფუარი, 1 გრამი ვანილი, 2 გრამი ლიმონის ესენცია. სულ მიიღებთ ორკილონახევარ ნამცხვარს.

ექიმი გვირჩევს

თუ კბილი გტკივათ: როგორი შემაწუხებელიც არ უნდა იყოს ტკივილი, ყოველთვის რადი შეგვიძლია მივმართოთ დახმარებისათვის ექიმს. ხშირად ამისათვის მოგვეძებნება შინაური საშუალებანი, რომლებიც დაგვიხსნიან კბილის ტკივილისაგან.

საუკეთესო საშუალებაა სალბი: სალბი მოხარშეთ და ნახარში გამოიღეთ პირის ღრუში. შეეცადეთ ნახარში ჩაიგუბოთ პირში რამდენიმე ხანს იმ მხარეს, სადაც კბილი გტკივათ. შეგრილებული ნახარში შეცვალეთ თბილით, ნახევარი საათის განმავლობაში უნდა მოასწროთ ნახარშის ხუთჯერ შეცვლა. ტკივილი დაგიყუჩდებათ.

აიღეთ პატარა ნაჭერი ღორის ქონი (თუ დამარილებულია, მარილი მოაცილეთ) და დაიდეთ მტკივან ადგილას ღრძილსა და ლოყას შორის, ასე გაიჩერეთ 15-20 წუთის განმავლობაში. ტკივილი ქრება და ავადმყოფი დიდი ხნით თავს აღწევს წამებას.

ჯანმრთელობა —შეწამლულ

არის მესამე საშუალებაც. იმ მხარეს, სადაც დაზიანებული კბილი იწვევს ტკივილს, ყურში ჩაიდეთ მრავალძარღვას ფესვი იმ დრამდე, სანამ ტკივილი არ გაგიქრებათ, ეს კი მოხდება ნახევარი ან ერთი საათის განმავლობაში.

თუ სურდო დაგემართათ: ისუნთქეთ ღრმად სასუნთქი თქმბალო ისე, რომ შენასუნთქი ცხვირიდან პირის ღრუში გადავიდეს. რამდენიმე ასეთი ჩასუნთქვა და... სურდო გაქრება.

კარგ შედეგს მიიღებთ ავრეთვე ცხვირის სუფთა წყლით გამორეცხვით. ოთახის ტემპერატურის წყალი ჩაისხით მუჭში და შეიწოვეთ ჯერ ერთი, მერე მეორე ნესტოთი ისე, რომ წყალი პირის ღრუში ჩაიღწიოს.

სურდოს მკურნალობისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი წარმოიქმნება უმეტესად ინფექციური (გადამდები) ავადმყოფობის—გრიპის დროს. ამიტომ სურდოს ამა თუ იმ საშუალებით მკურნალობისას აუცილებელია იხმაროთ სუფთა ცხვირსახოცი, რათა მკურნალობის შემდეგ საკუთარი ცხვირსახოცით კვლავ არ გადაგედოთ ინფექცია.

ბილოსავთ

ნაბო ავთანდილის ასულ ყურაშვილს

იოსებ ზოთას ძე გოლეთიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის ღირსეული შვილი.

ცაგერის ღვინის ქარხნის ადმინისტრაცია

რედაქტორის მოადგილე

მ. ძნელაძე.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნორა საღინაძეს ბიძის

ნოე მაქსიმეს ძე

ქურასპედიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 65539, შეკვეთა № **ტირაჟი 4360**

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.